ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 79
07/08/2018

79-04-4-201808071740

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა–ნაგებობების განსაზღვრის შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე–2 და მე-4 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ შენობა–ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა, თანახმად დანართი №1-სა.
2. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა აკრძალულია განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში მოცემულ საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებისა და ექსტერიერებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.
3. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იმ შენობა–ნაგებობების განსაზღვრის შესახებ სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №48 განკარგულება.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

შენობა–ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია
საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა

№	**სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დასახელება**	**სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაკავებული შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობა და მისამართი**	**შენიშვნა**
1	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქედის სამსახური	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა № 2	
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა №17	
3	სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური სამმართველოს ქედის წარმომადგენლობა	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	
4	აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ქედის წარმომადგენლობა	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	
5	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა №3	
6	ქედის სატყეო ადმინისტრაცია	დაბა ქედა, ვაჟა ფშაველას ქუჩა №2	
7	შინაგან საქმეთ სამინისტროს ქედის პოლიციის სამმართველო	დაბა ქედა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №4	
8	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქედის სარეგისტრაციო სამსახური	დაბა ქედა,26 მაისის ქუჩა №2	
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ქედის რესურსცენტრი	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა № 3	
10	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა № 3	
11	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა №3	
12	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	დაბა ქედა, დ. აღმაშენებლის პირველი ჩიხი №1	
13	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ოქტომბერი	
14	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი დანდალო	

15	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ცხმორისი	
16	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი დოლოგანი	მშენებლობის პროცესშია
17	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ზუნდაგა	
18	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი პირველი მაისი	
19	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი წონიარისი	
20	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მერისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი მერისი	
21	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ზვარე	
22	სასამართლო	დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა №17	
23	აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო ქედის არქივი	დაბა ქედა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №1	
24	№80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისია	დაბა ქედა, აკ. წერეთლის ქ. №2	